ფასი 40 კაპ.

ფელიეტონი პირველი

საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 17 ოთხშაბათი, 14 აგვისტო 1918 წ. № 17

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით **10** მ., ცალკე ნომერი ყველგან **40** კაპ.
სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.
გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის **10—3** საათამდე.
(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.

ფინანსთა სამინისტროს კანცელარია

წინადადებას აძლევს ყველა საკრედიტო დაწესებულებათ (სააქციონერო ბანკები, როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთის, «ბანკირების» კონტორები, საურთიერთო ნდობის საზოგადოებები, ქალაქის საზოგადო ბანკები, საკრედიტო და შემნახველ-კამსესებელი ამხანაგობები, ლომბარდები და სხვ), რომელნიც იმეოფებიან საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში, ორი კვირის ვადაში წარმოადგინონ ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო განყოფილებაში თავიანთი წესდებები და მისამართი, აგრეთვე წარმოდგენილი უნდა იქმნას ყოველ თვიურად ბალანსი, დაწყებული ამა წლის 1 ივნისიდან.

კანცელარიის დირექტორის თანამდებობის დროებითი ამსრულებელი დ. ა ფ ხ ა ზ ი.

29 ივლისი, 1917 წ. № 950|234.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

ქართულ რკინის გზის

მ თ ა ვ ა რ ს ა მ ა ს ა ლ ო ს ა წ ყ ო ბ ი.

ამა წლის 20 მარტამდისთვეს (ახალი სტილით), დილით, 10 საათ დანიშნულია საჯაროდ გაიდგა 1.800 ცალი ცემენტის ბოჯკებისა. მისამართი: ქ. თბილისი, ქართული რკინის გზის სამასალო ნაწილი, კუთხე ელისაბედისა და სადგურისა, 9—3 საათ., ყოველ დღე გარდა უქმეებისა. (3—3).

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

საქართველოს რესპუბლიკის არსენალი

თანახმად არტილლერიის მიმწოდების უფროსისა, ამით აცხადებს, რომ 22 აგვისტოს 1918 წ., დღის 11 საათზე, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა საქართველოს არსენალში გასასვიდათ ერთის 20 ძალიანი ლოკომობილისა თავის კუთვნილებით. ეიდვის დროს უნდა გადიხადოს მეიდეველმა ნახევარი ფასი მასალისა. ქალაქში თავისუფლად გასატარებლად მეიდეველს მიეცემა განსაკუთრებითი მოწმობა საქართველოს არსენალისგან. განმეორებითი საჯარო ვაჭრობა (ბერეტორგა) მოხდება მესამე დღეზე. ეოველივე ცნობების მიღება შეიძლება არსენალის კანცელარიაში ეოველ დღე 9—3 საათამდე.

არსენალის უფროსი გვ. კაპიტანი გედევანიშვილი.
საქმეების მმართველი შ ა ვ ლ ა შ ე.

3—2

ბონების დასამზადებელი ექსპედიცია

ამით აცხადებს რომ, პირველ რიგში გამოშვებულ სამ-მანეთიან ბონების უკანა გვერდზედ ქართულ ნაბეჭდ „ო“-ს მაგივრათ დაბეჭდილია „ჲ“ (იგივე ასო ხელნაწერ შრიფტისა) და ამ ერთ მიზეზის გამო სამ-მანეთანები არ უნდა იქნეს მიღებული ყალბათ.

საერთო განყოფილების გამგე ზ. მ ა ჩ ა ბ ე ლ ი.
საქმის მწარმოებელი ს. ე რ ი ს თ ა ვ ი.

„სასწრაფო ფოსტის საზოგადოება“.

(მთავრობის მიერ დამტკიცებული) ამით აცხადებს, რომ

დ ღ ე ი დ ა ნ

14 აგვისტოდან ხსნის თავის საფოსტო მოქმედებას. მოწყობილია სწრაფი საფოსტო რეისები

საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებ გარეთ.

შიკრიკები აუცილებლად ბრუნდებიან

ჰ ა ს უ ხ ი თ

კანტორა იმყოფება ერევნის მოედანზე სასტ. „კავკაზი“ № 42. ღიაა დილის 10 საათიდან საღამოს 7 საათამდე, მთავარი განყოფილება მიხეილის პროსპ. პოჩტამტში დილის 9 საათ. 2 საათამდე, საღამოს 5 ს. 7 საათამდე.

საკალდებულო დადგენილება.

სოდგრასთან საბრძოლველ თანხის შესაგებლ თბილისის თვითმმართველობის სებჭო აწესებს ერთდროულ გადასახადს შემდეგის წესით:

I. საყაზრო-საძრეველო დაწესებულებათა ბატონთა გადახდებათ 1918 წლის სახელმწიფო საძრეველო გადასახადის 20 ბრიგ.

II. საყაზრო თუ საძრეველო

ოფიციალური განყოფილება

ბრძანება

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მეჩუთმეტე სხდომის

10 აგვისტო, 1918 წ. ქ. თბილისი.

№ 26.

დათხოვნილია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: წევრი ცენტრალური საადგილმამულო მმართველობისა ახუნლოვი, თანახმად თხოვნისა ამა წლის 1—აგვისტოდან.

თანაშემწე ტყის საქმეთა მმართველისა დიაჩენკო, რომელიც იმყოფებოდა თბილისის მეწყობმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს განკარგულებაში ამა წლის 1 აგვისტოდან.

მიწათმოქმედების მინისტრის ამხანაგი ჰ. გელეიშვილი.

ბრძანება

№ 42.

1918 წ. 29 ივლისს თბილისის სამოსამართლო პალატის უფროსმა თავმჯდომარემ 414 მუხ. ძალით, ამავე პალატის პროკურორთან შეთანხმებით, დაადგინა: თბილისის სამოსამართლო პალატის უმცროსი კანდიდატი სასამართლოს თანამდებობაზე როგალინი-გაიგზავნოს სამუშაოდ დასახელებულ პროკურორის კანცელარიაში. დედანს ხელს აწერს უფროსი თავჯდომარე მ. მღვდლიშვილი.

№ 43.

1918 წლის 5 აგვისტოს თბილისის სამოსამართლო პალატის უფროსმა თავმჯდომარემ 414 მუხ. ძალით, ამავე პალატის პროკურორთან შეთანხმებით, დაადგინა: სამოსამართლო პალატის უმცროსი კანდიდატები სასამართლოს თანამდებობაზე: პერშეკი, კუნდურავი, ლუკეევიჩი და პავლოვსკაია გაიგზავნონ დროებით სამუშაოთ, პირველი სისხლის სამართლის დეპარტამენტის კანცელარიაში, დანარჩენები კი პალატის სამოქალაქო დეპარტამენტის კანცელარიაში. დედანს ხელს აწერს უფროსი თავმჯდომარე მ. მღვდლიშვილი.

№ 44.

1918 წლის 9 აგვისტოს თბილისის სამოსამართლო პალატის თავმჯდომარემ დაადგინა თბილისის სამოსამართლო პალატის უმცროსი კანდიდატები სასამართლოს თანამდებობაზე ეტოლოვი ვიტოლდის ძე ლუნკევიჩი დროებით გაიგზავნოს სამუშაოდ თბილისის რევოლიუციონერ ტრიბუნალის კანცელარიაში.

დედანს ხელს აწერს უფროსი თავმჯდომარე მ. მღვდლიშვილი.

№ 45.

1918 წ. 10 აგვისტოს თბილისის სამოსამართლო პალატის უფროსმა თავმჯდომარემ 412 მუხ. ძალით პალატის პროკურორთან შეთანხმებით, დაადგინა: თბილისის სამოსამართლო პალატის უმცროს კანდიდატებს სასამართლოს თანამდებობაზე გრიბოედოვს და კოვეფნოს თანამდებობაზე ეკატერინოსლავ-ბაქოს 20 ივლისიდან არ მიეცეს ჯამაგირი. ამავე რიცხვიდან ეს ჯამაგირები მიეცეს უფროს კანდიდატს სასამართლოს თანამდებობაზე-ზედმეტიერს და უმცროსს ლუნიაკინს.

დედანს ხელს აწერს უფროსი თავმჯდომარე მ. მღვდლიშვილი.

№ 46.

1918 წლის 20 ივლისს თბილისის სამოსამართლო პალატის უფროსმა თავმჯდომარემ დაადგინა: რადგანაც იუსტიციის მინისტრის ბრძანებით თანახმად ეროვნულ საბჭოს დადგენილებისა შტატები უნდა: შემცირდეს, უქმდება აღნიშნულ პალატის შემდეგი თანამდებობანი: 4 მდივნის, 10 მდივნის თანაშემწის და 3 გასაგზავნი კაცის. ყველა ესენი დათხოვნილი არიან თანამდებობიდან, თანახმად ეროვნულ საბჭოს დადგენილებისა 3 ივლისიდან 1918 წ. სალიკვიდაციო დახმარების მიცემით დათხოვნილი არიან მდივნები: კონსტანტინე პეტრეს ძე როზანოვი, ევგენი ალექსანდრეს ძე მადოსონი, მიხეილ ნიკოლოზის ძე ალშანსკი და ანდრია ნიკოლოზის ძე ვასილკოვი, მდივანის თანაშემწეები: თეودორე ნიკოლოზის ძე გალაბუტსკი, ალექსანდრე ვასილისძე რაევსკი, გიორგი მიხეილის ძე ზედელმაიერი, ვასილ ანდრიას ძე ცვეტკოვი, პეტრე გრიგორის ძე ისტნიუკი, ივანე გრიგორის ძე ბეკანოვი, მოსე აარონის ძე კამოვეი, მდივნის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელნი: ვასილ სიმონის ძე შატოვი, ანდრია ალექსისძე ლუნიაქინი და რუბენ მოსესის ძე მატინიანცი. გასაგზავნი კაცის თანამდებობის აღმასრულებელნი: გრიგოლ ევდოკიმის ძე ხინევსკი, ივანე გიორგის ძე პროკოფიევი და საბა სტეფანეს ძე ბაბსკოვი.

დედანს ხელს აწერს უფროსი თავმჯდომარე მ. მღვდლიშვილი,

არა ოფიციალური განყოფილება

თბილისი, 14 აგვისტო.

საქართველო ღღეს დემოკრატიულ-რესპუბლიკანური ქვეყანაა და მის საზღვრებში უფლებრივად უზრუნველყოფილი იქნება ყველა განურჩევლათ სარწმუნოებისა, ეროვნებისა, წოდებისა და სოციალურ მდგომარეობისა.

ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოსახლეობენ სხვა არა ქართველი ეროვნების წარმომადგენლები, სცხოვრობენ ეროვნული უმცირესობანი. სახელმწიფოებრივობის და დემოკრატიის ღირსება, კულტურული მოწოდება და ინტერესები მოითხოვენ, რომ ეს უმცირესობანი თავისუფლათ ვითარდებოდენ და ჩაგვრა-შევიწროებას არ განიცდიდენ.

რა თქმა უნდა ჩვენი კონსტიტუციური დებულება არ დაკმაყოფილდება მით, რომ დეკლარატიულათ გამოაცხადებს ყველა ერის კულტურის თავისუფალ განვითარების უფლებას, მზგავსათ ავსტრიის კონსტიტუციისა, რომელიც რეალურათ არავითარ ერის და ეროვნულ უმცირესობის უფლების უზრუნველყოფას არ შეიცავს.

ჩვენი სახელმწიფოებრივი და დემოკრატიული მოვალეობაა არა მარტო მათი უფლების აღიარება, არამედ ამ უფლების განსახიერების პირობების შექმნა და სამფარველო გარანტიების შემუშავება.

ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენლებს, როგორც საქართველოს მოქალაქეთა ყველა პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლებები აქვსთ მინიჭებული, ისინი უფლებრივად თანასწორნი არიან. მაშასადამე, ისინი სარგებლობენ და ისარგებლენენ ყველა იმ უფლებით და უპირატესობით, რომელსაც ანიჭებს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობა.

ოღონდ ჩვენ ვთხოულობთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის და რესპუბლიკის უმადურმა ღალატმა არ გაიჯაჭნოს იმათ გულში, ვინც ფიქრობს ჩვენ სახელმწიფოში დარჩენას და მშვიდობიან მოქალაქეობას.

გარდა იმ უფლებებისა, რომლითაც აღჭურვილია საქართველოს ყოველი მოქალაქე, ეროვნულუმცირესობათ, როგორც განსაზღვრულ კულტურულ მთლიანობას მინიჭებთ კულტურული ავტონომია, თავის საშკოლო, სათეატრო, საეკლესიო და სხვა ამ გვარ საქმეთა გასაძღოლათ.

პოლიტიკურ და მოქალაქეობრივ თანასწორუფლებიანობა, ყოველი უმცირესობის ყველა დემოკრატიული საკონსტიტუციო გარანტიები ან კულტურულ-ეროვნული ავტონომია—ან რა შეუძლია ქმისცეს საქართველოს რესპუბლიკამ თავის ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენელთ და მოქალაქეთ.

ყოველივე ეს ერთად ერთი დემოკრატიული შესაძლებლობაა ვფიქრობთ, და იმდენათ საკმაოა, რომ ხმა უნდა გაკმინდონ იმ პოლიტიკურმა ვიგინდარებმაც კი, რომლებიც ყოველ გზაჯვარედინზე გაჰკივიან საქართველოს რესპუბლიკაეროვნულ უმცირესობის დაჩაგვრის გზას ადგებაო.

მაგრამ არის მეორე საკითხი, რომელიც თავის პოლიტიკური მნიშვნელობით რამდენიმეთ უახლოესდება ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობის უფლებრივ მოწესრიგებას.

ეს არის ჩვენი ზოგიერთი სანაპირო კუთხეების ყოფა-ცხოვრების მოგვარების საკითხი.

ცხადია, საქართველო ერთი მთლიანი და განუყოფელი სახელმწიფოა. მაშასადამე შეუძლებელია იმაზე ფიქრი, რომ იგი ვითომ გადაიქცევა პოლიტიკურ ერთეულების რაღაც კავშირად და თუ შეიძლება ასე ითქვას, დაანაწილებს თავის სახელმწიფურ უფლებას.

მაგრამ ის, როგორც ერთი მთლიანი და განუყოფელი დემოკრატიული სახელმწიფო ზოგიერთ განსხვავებულ განაპირა კუთხეს თვითმართველობას მიანიჭებს.

ეს პრინციპი ზოგიერთ განაპირა კუთხისათვის ფართე თვითმართველობის მინიჭებისა ახლა არ მოგვეგონია. იგი ერთ ხმათ მიიღო და [illegible] წლის 19 ნოგბრის პირველმა ეროვნულმა ყრილობამ, სადაც ჩაისახა ჩვენი ახლანდელი დროებითი პარლამენტი- საქართველოს საბჭო, 26 მაისის შემდეგ რომ სახელმწიფოებრივ საქმეებს უძღვება და კანონმდებლობს.

უთუოდ გემახსოვრებათ ისიც, რომ ჩვენ სწორეთ ამ ყრილობის დავალების თანახმად მოვითხოვეთ ფართე თვითმართველობა სამაჰმადიანო საქართველოსთვის...

ცხადია, იმავე პრინციპით ვიხელმძღვანელებთ საკიოოებას დროს სხვა მზგავს შემთხვევებში, სულ ერთია რომელი განაპირა ოლქიც უნდა იყოს განსხვავებულ თვითმართველობის პირობებში ჩასაყენებელი.

ამ ნაირათ საქართველოს რესპუბლიკაში აღძრული საკითხი სწყდება ორგვარათ.

ერთი მხრით სამოქალაქო-პოლიტიკურ თანასწორ-უფლებიანობის, გარანტიების და კულტურული ავტონომიის ცნობით და მეორეს მხრით თვითმართველობის აღიარებით ზოგიერთ ეთნოგრაფიულ და კულტურულათ განსხვავებულ კუთხისთვის.

მაგრამ ყველა ეს რომ სავსებით განხორციელდეს და მშვიდობიანი დემოკრატიული და კულტურული თანამშრომლობა და ურთიერთობა დამყარდეს, უმთავრესათ საქართველოს იარსებოს რესპუბლიკამ და ვიბრძოლოთ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის.

ეროვნული საბჭო

მკათათვის 30-ს სხდომა მე-25-თე.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს ბატონ ირაკლი წერეთელს.

ირ. წერეთელი (ს.-დ.). ბატონებო, ეს ორი სხდომა არის, რაც ოპოზიციიდან გამოდიან ორატორები და სულ ერთსა და იმავე აზრს ამტკიცებენ.

როგორც სჩანს, დიდ მნიშვნელობას აძლევენ თავიანთ პოლიტიკურ საბუთებს და თუმცა კარგად არ ხსნიან თავიანთ აზრს, მაგრამ მე მსურს სავსებით დავაკმაყოფილო ისინი, თუ რატომ არ ვლებულობთ მათ საბუთებს.

რომ გაიგოთ მოპირდაპირის აზრი, უნდა შეიტყოთ, რა არის მათი გამოსავალი დებულება. და აი მე გეკითხებით თქვენ: რა გსურთ ბატონებო თქვენ ყველა იმით, რომ მუდამ ეწინააღმდეგებით ჩვენ მიერ შემოტანილ წინადადებას? თქვენ მემარჯვენე ოპოზიცია ბრძანდებით და კაცმა უნდა წარმოიდგინოს, რომ თქვენ გსურთ წესიერების აღდგენა, რომ თქვენ სწორედ აქედან გამოდიხართ.

თუ თქვენ მართლა წესიერება გსურთ, მაშინ ყველა თქვენი გამოსვლა გაუგებარია დაწყებული იმ დღიდან, როდესაც თქვენ მოიტანეთ იერიში იმ რაზმზე, რომლის კანონ-პროექტი წარმოადგინა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

თქვენ ხომ ბრმა არა ხართ, რომ ვერ ხედავდეთ, თუ რა ხდება ჩვენს გარშემო? ხდება აჯანყება ყოველგვარ წყობილების წინააღმდეგ. არც ერთი სახელმწიფო არ ყოფილა იმაზე უარეს მდგომარეობაში, როგორც შიაც ჩვენ ვიმყოფებთ, არსად, არც ერთ სახელმწიფოს ისეთი სიძლიერით არ უქადდა ის საშინელი საფრთხე, როგორც ჩვენ გვიქადის. ეს საფრთხე არის ანარქია.

ეს იმდენად ნათელია, რომ ამას ბრმაც კი დაინახავს და თქვენ კი რიტორიულად კითხულობთ: რა მოხდა ისეთი, რომ საგანგებო რაზმის გადიდება გინდათო? რა მოხდა, ბატონებო, ტ ხდება როვეთა სახელმწიფოსი. თქვენმა პარტიამ სახელმწიფოს აღმშენებლობა თავს იდვა და იგი ამისათვის საგანგებო ზომებსაც მიმართავს. და აი თქვენ გამოდიხართ და ამბობთ: ნუ მიმართავთ ასეთს არა ჩვეულებრივ ზომებს, ნუაარსებთ განსაკუთრებულ რაზმებს, ნუ დახარჯავთ ფულს და სხვა. მე თქვენ გეკითხებით: განა შეიძლება არა ჩვეულებრივ ზომების უკუ გდება, მაშინ როდესაც მხარეში ანარქია არსებობს? თქვენ დაგისწავლიათ ერთი რამ ზა მუდამ ჩანას გაიძახით: საგანგებო წესები ჩამოსხენით, ყოველ სახელმწიფოში არსებობს კონსტიტუციონური გარანტიები, დაიკავეთ ეს კონსტიტუციონური გარანტიები და სხვა. ბატონებო, თუ თქვენ მართალი წინააღმდეგი ხართ ფრაზეოლოგიისა, რასაც ასე გვისაყვედურებთ—მაშ რაღაა აქ თქვენი სიტყვები თუ არა ფრაზალო ფრაზეოლოგია. ეს არის ერთი დიდი ფრაზეოლოგია—არა რევოლუციური, თქვენ ამის წინააღმდეგი ხართ, არამედ კონტრ-რევოლუციური.

ფრაზა არის, როდესაც იტყვით სიტყვას და შინაარს რომ გავითვალისწინებთ არაფერი არ გამოდის. კონსტიტუციური ზომები აჯანყების დროს ვერც მემარცხენე და ვერც მემარჯვენე ფრაქციები ფონს ვერ გავლენ. აჯანყება ხსნის იმ კონსტიტუციურ გარანტიებს, რაც საფასებრი ჩვენს იდეალს შეადგენს.

როდესაც სახელმწიფო მოცულია ანარქიით მაშინ შეუძლებელია კონსტიტუციურ გარანტიებზე ლაპარაკი. გესმისთ, ბატონებო, თქვენ ეს თუ არა? თუ ეს გესმისთ, მაშინ ჩვენ აღარ ვვესმის თქვენი არგუმენტაცია. თქვენ რაღაც უკეთესად ხალი ხართ და მუდამ რაღაც ლოიალური უკუმართობთ თქვენს სიტყვებში. ამტრამ არის, რომ როდესაც თქვენი ორატორები ლაპარაკობენ, და შემდეგ ჩემი ამხანაგები გამოდიან, მათ ვერ გაუგიათ: თუ რაში ხდება ეს ასე. თქვენ გგონიათ, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია არის წესიერების პარტია და ამიტომ ყოველივე მათ გამოსვლას ამ თვალთსაზრისით უყურებენ და ამიტომ არის, რომ ვერ გაუგიათ თუ რაში არის საქმე. მაგრამ ერთის წუთით წარმოიდგინეთ, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია არის უწესობის პარტია და თქვენთვის ყველაფერი ნათელი იქნება. უწესობის პარტიას ჭსურს დაარღვიოს წესიერება. აი სანამ ასე არ შეხედავთ მათ გამოსვლებს მანამდის ვერავინ გიგებს, თუ რაშია საქმე.

და აი ეს პარტია, რომელიც აწარმოებს ასეთ ავანტიურისტულ-პოლიტიკას დაინტერესებულია, რომ ანარქია არსებობდეს. იგი გვირჩევს: რევოლიუციური ფრაზეოლოგია მოსპეთ თუ გინდათ ქვეყანა იხსნათ. ხალხი გადაარია რევოლიუციურ ფრაზეოლოგიათ—და თვითონვე გვეუბნებიან როგორ შეიძლება კონსტიტუციურ გარანტიების მოსპობა, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან საგანგებო რაზმის დაარსება უკანონობა არისო.

ეს არის ფრაზეოლოგია, რომელიც წყლის ასამღერებად სჭირდება უწესოების პარტიას, ვინაიდან ამ პარტიამ შეიგნო, რომ წესიერების დამყარება ეს არის დემოკრატიული წყობილების განმტკიცება, რასაც ასე ეწინააღმდეგება ეროვნულ დემოკრატიული პარტია.

ჩვენ თუ გავატარებთ აგრარულ რეფორმას, მას გავატარებთ ისე, როგორც ღღეს მისაღებია ჩვენი ხალხისთვის. თუმცა უნდა ვსთქვათ, რომ ეს ბევრად უფრო მაენებელია, ვიდრე მიწის ის რეფორმა, რომლის განხორციელებაც გვსურდა ჩვენ. მაგრამ მიწათ-მოქმედთა ჩამორჩენილი კლასი ვერ შეიგნებს იმ დიად რეფორმას, საათკენაც მივალეკეთ ჩვენ. მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც ყოველივე ზომებს მივიღებთ, რომ მიწის რეფორმა ცხოვრებაში გატარდეს ისე, როგორც ამას მიიღებს ჩვენი ხალხის წარმომადგენლობა, ჩვენი პარლამენტი.

ხოლო ისეთ წესების დამყარება, რომ მთელი ქვეყნის მშრომელი ხალხი გაერთიანდეს ჯერ ზორს არის—ეს ჩვენი იდეალია. ეს მოხდება მაშინ, როდესაც მიწად-მოქმედების კლასი, როგორც განსაკუთრებულ სოციალურ ძალაუფლების მქონე მოისპობა, როდესაც მოხდება დიადი სოციალური ცვლილება.

თქვენ ბრძანდით, ბატონებო, აი წარმოიდგენთ ჩვენს საბუთებს, თქვენ მოიმენთ, აქ წაიაღმდეგობას გაგვიწევთ, მაგრამ შემდეგ გაკეთებთო.

მე გეტყვით თქვენ ბატონო, რევეზ გაბაშვილო, შეიძლება, ის რასაც თქვენ ვვირჩევთ, შემდეგ როცა საჭირო იქნება ჩვენ ავასრულოთ, მაგრამ, მე დარწმუნებული ვარ, მაშინ თქვენ გამოხვალთ და ჩვენი წინააღმდეგი იქნებით.

როდესაც მოისპობა ანარქია დემოკრატია შექმნის მან გარანტიებს, რომლის შესაქმნელად დემოკრატია იბრძვის განსაკუთრებულ ზომებით. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ დემოკრატია აღიძრა იმავე სულის კვეთებითაც, რა სულის კვეთებითაც თქვენ.

როდესაც დემოკრატია ამას მიაღწევს, მაშინ ალბათ თქვენ გამოხვალთ და იმასვე იტყვით, რასაც თქვენი მომძღვნი სხვა სახელმწიფოებში.

თქვენ გაქვთ მიზნად დაირღვეს დემოკრატიული წესები. და აი დემოკრატიასთან ამის საწინააღმდეგო ბრძოლაში თქვენ არავითარ საშუალებას არ ეძიებენ.

აქ ლაპარაკობენ დემაგოგიაზე. მართალია დემაგოგიამ რევოლიუციის დროს ბევრ თქვენგანს მწარე წუთები აგრძნობინა, მაგრამ თქვენ თვითონ არავითარ დემაგოგიას არ ეძიებენ, დემაგოგიაა და სხვა არაფერი ანარქიის დროს კონსტიტუციურ გარანტიებზე ლაპარაკი; დემაგოგიაა იმის თქმა, რომ შინაგან საქმეთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამინისტროსთან შემდგარი განსაკუთრებული რაზმი რაღაც საშინელებას წარმოადგენდეს, რომ იგი საჭირო არ იყოს წესიერების დასამყარებლად.

ბატონებო, თქვენ ისე ხართ გატაცებული ჩვენ წინააღმდეგ ბრძოლით, რომ საკუთარ პრინციპებსაც კი არღვევთ. განა, ბატონებო, მემარჯვენე პარტიას თავის წმიდათა წმიდა სახელმწიფოში წესიერების დამყარება არ უნდა მიაჩნდეს? თქვენ კი ამასაც არ უწყობთ ხელს.

ამის მაგვარად აქ გამოდიხართ და გაიძახით: დიდებულ სახუთებს ვადგენთ და თქვენ კი არ ღებულობთო. თან გიკვირთ რა მოხდა ისეთი რომ საგანგებო რაზმის კანონპროექტი რომ შემოგაქვთო?

ჯერ როდესაც ანარქია არ ჩამქრალა, ჯერ როდესაც აჯანყებულები არ დაწყნარებულან დუშეთის მაზრაში, სოხუმში, ჯერ როდესაც არ დაუსვენიათ ჩვენს შინაურ მტრებს, გარეშე მტრის აგენტებს და სხვა და სხვა ჯური ნაციონალისტებს—ამ დროს თქვენ კითხულობთ რა მოხდაო?

ამის შემდეგ გიკვირთ, რომ თქვენ სახუთებს არ ვღებულობთ? ბატონებო, მოგისმენეთ თქვენი სახუთები და არ მივიღეთ, რადგან თქვენ ვერ ხედავთ, რომ განსაკუთრებული მდგომარეობა და განსაკუთრებული ზომებია საჭირო. ბატონებო, თქვენ სულ თქვენ სახუთებზე ლაპარაკობთ და აბა ერთხელ ჩვენს სახუთებსაც მიაქციეთ ყურადღება—და დაინახავთ, რომ ყოველი ჩვენი ნაბიჯი გადადგმულია ჩვენი ხალხის არსებულ მდგომარეობის მიხედვით.

თქვენ ილია ჭავჭავაძის, ხომ დიდი თაყვანის მცემლები ხართ და მე მინდა მოგაგონოთ მისი სიტყვები. ის, როდესაც თავის მოწინააღმდეგეებს ეკამათებოდა—მათ ეუბნებოდა ხოლმე:

„თქვენი ბამბაც რაჩხუნობს და ჩვენსას ოქროსაც ფასი არა აქვსო? თქვენც ასე მოგდით ბატონებო. თქვენი სახუთები, რომლებიც არასადროს არ მართლდება, სახუთებია და ჩვენი სახუთები სახუთები არ არის?

აი, ბატონებო, დაარღვიეთ ეს დებულება: არც ერთი სახელმწიფო არ ყოფილა, რომ ამოდენა აჯანყება შემორტყმოდეს და საგანგებო წესები არ ყოფილიყოს შემოღებული.

განა წესიერების წინააღმდეგ ბრძოლა ეს ქადაგება არ არის ანარქიისა?

მეორე თქვენი სახუთი არის: ჯარი შეავდგინოთო.

ბატონებო, ნუ თუ თქვენ არ იცით, რომ ჯარი, თუ ვერ შედგა ეს იმიტომ ანარქია უშლის ხელს, იმიტომ, რომ ჯერ ანარქია არ არის ჩამქრალი. სანამ ანარქია არ ჩაქრება, რეგულარულ ჯარის შედგენა ყოვლად შეუძლებელია. ანარქიის წინააღმდეგ საბრძოლველად კი საჭიროა ძალა. და აი აქ ისმება საკითხი, როგორ, და რანაირად უნდა მოუაროთ ამ ქმეს? სად არის გამოსავალი? ჩვენ ვნახეთ გამოსავალი: ეს არის საგანგებო რაზმების შექმნა. თქვენ კი წინააღმდეგნი ხართ რაზმისა ტ ამასთან იცით, რომ არა გვყავს ჯარის შესაფერი კონტიგენტი. ნუ თუ თქვენ არა გრწმნთ, რომ თუ ეს რაზმები ჩაიშალა, თუ წითელ გვარდიამ ვერ შესძლო ანარქიის ჩაქრობა, მაშინ ანარქია ჩაჰყლაპავს ჩვენს თავისუფლებას. ხომ უნდა ვინმე შეებრძოლოს ბატონებო ანარქიას. და ჩვენ მიხან შეუწონლად მიგვაჩნია, რომ ისედაც სუსტი ჯარი დავაუძლეროთ ანარქიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

თუ რაზმი არ გეყოლებათ, თუ საგანგებო რაზმებს არ დიეშაურებთ, გვიბრძანეთ რა წესით ვსუთო ჩაქრთო ანარქია?

ყოველ პოლიტიკურ მიმართულებას პატივისცემა უნდა. ჩვენც პატივი უნდა ვცეთ იმ პოლიტიკურ მიმართულებას, რომელიც მიზნად ისახავს წესიერებას, მაგრამ ყოველივე პოლიტიკურ მიმართულებას მოეთხოვება პირდაპირობა. და აი თქვენც, თუ წესიერება გსურთ პირდაპირ სთქვით, თუ არ მოგწონთ ჩვენი მთავრობა ის წეს-წყობილება, რომელსაც ვამყარებთ ეს პირდაპირ განაცხადეთ, გახდით რევოლუციონერები ამ მთავრობის წინააღმდეგ. მაშინ თუ შეგებრძოლებით გვეცოდინება მაინც, როგორ მოწინააღმდეგესთან გვაქვს საქმე.

ჩვენ, როდესაც ვებრძოდით ძველ თვითმყოფობელობას, ასე ვიქცეოდით. ჩვენ მათ უცხადებდით, რომ ეს წესი, რომელიც თქვენ გაქვთ, ეს ზომები, რომელსაც თქვენ იღებთ თქვენი კანონები ყოველივე ანარქიაზე უარესია. ჩვენ უცხადებდით: ძირითადად გეწინააღმდეგებითო. თქვენც ასე ბრძანებთ ბატონებო.

თქვენ ამბობთ, წინააღმდეგნი ვართ რაზმის შედგენისა, რადგან ჯარს აჯანყენთ. თქვენ გვირჩევთ გვარდია მოშალეთო. ბატონებო, ბავშვები ხომ არა ხართ, რომ არ იცოდეთ, თუ ამას რა მოჰყვება? მაშინ ხომ ანარქია ჩაყლაპავს დემოკრატიას. თუ თქვენ ეს გსურთ განაცხადეთ გულახდილად.

თქვენი ლაპარაკი კონსტიტუციურ გარანტიების შესახებ სულ ზედმეტია. ეს არის ფრაზეოლოგია, რომელსაც თქვენ ჩვენ გვისაყვედურებთ. თქვენ ლაპარი სტაკენი არ მოგწონთ, მოითხოვთ საქმეს. მე კი გეტყოდით: ისეთმა ფურმა დამწიხლოს, რომელიც ჩემზედ მეტს იწველიდესო. ცოტად თუ ბევრად ჩვენ საქმეს ვაკეთებთ. (ხმა მარჯვნიდან: სადან იცით?)

ამას თქვენ თვითონ ბრძანებთ. თუ ეს ასე არ არის, ბატონებო, და მთავრობა არაფერს არ აკეთებს მაშ რატომ არ მოდიხართ მთავრობის ხელში ჩასაგდებათ. მაგრამ თქვენ, რაღაც პოლიტიკა გაქვთ, რომ კაცი ვერ გაიგებს რა გსურთ თქვენ.

ყველა თქვენგანს იმდენი ბოლმა გაქვთ, რომ გულში ვერ დაგიტევიათ, და ამიტომ არის, რომ იმდენს არც ერთი პარტია არ ლაპარაკობს, რამდენსაც თქვენ ლაპარაკობთ (ტაში).

თქვენ აქ სიტყვებს ხარჯავთ, ცარიელ სიტყვებს, თუმცა ლამაზ სიტყვებს ეწინააღმდეგებით—ბატონებო, ჩვენ სიტყვებს კი არ გიშლით, გაიგეთ, რომ არ ვარეხიხართ პოლიტიკოსებთან (ტაში). საქმე უნდა დაგვანახოთ, ბატონებო, საქმე! (სიცილი).

თქვენ ხომ იცინთ, სიცილი შეუძლიან ამ პარტიას, რომელმაც თავისი ბაგაჟი დაგვანახვა. სხვა ბურჟუაზიამ ევროპაში ეკონომიურ სფეროში გაიერთა ქვეყანა და შემდეგ პრიველეგიების მოიხოვნილება წამოაყენა,

თქვენ გამოდიხართ და ამბობთ სხვა სახელმწიფოები ბურჟუაზიამ ააშენა—ჩვენ გეუბნებით: სხვა ბურჟუაზიულმა პარტიებმა გვიჩვენეს თავიანთი პოლიტიკური ბაგაჟი. თქვენ რა გააკეთეთ? გვიჩვენეთ თქვენი პოლიტიკური ბაგაჟი? თქვენი გამოს�sლა მე მაგონებს ერთ ქართულ ანდაზას: „ცუმ ფეხი გამოყო და მეც ნახირ ნახირო“.

ჩვენ ბურჟუაზიას არა გაუკეთებია რა—იმის გარდა, რომ გვიჩუქა ერთი 15 კაკი, რომლებიც დამსხდარან და ყველაფრის წინააღმდეგ ილაშქრებენ. საკვირველია „რევოლიციურ ფრაზეოლოგიას, ლამაზ სიტყვებს ჩვენ გვიწუწუნთ, და ყოველ კრებაზე, თქვენ გამოდიხართ და ულამაზო სიტყვებით, ულამაზო ფრაზეოლოგიით ყურები გამოგვიშეფდეთ. (ტაში).

შეცდომის გასწორება.

ეროვნულ საბჭოს ზნგარიშში (იხილ. № 16) შეცდომით დაბეჭდილია: გ. ვეშაპელი მიწები უნდა გაიყიდონ.

უნდა იყოს: (გ. ვეშაპელი. მიწები უნდა გაიყიდონ). ვეშაპელს ეკუთვნის მხოლოდ ეს რეპლიკა. შემდეგი სიტყვები რევოს გაბაშვილისა.

პრესის მიმოხილვა.

ამას წინად დასრულდა სამხრეთ ოსთა მე-5-ე ყრილობა. უკანასკნელ რეზოლიუციაში ხაზგასმით არის აღნიშნული ოსებისა და ქართველების საერთო ინტერესები. ამავე რეზოლიუციით ყრილობა საკიროდ სცნობს საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში სამხრეთ ოსთის ბედის მოწყობას და დამოუკიდებელ საქართველოს განმტკიცებას. ამ ამბის შესახებ „ბორბა“ სწერს:

„რეზოლიუციაში ჩრდილოეთის ორიენტაციის ნიშნა-წყალიც აღარ არის. ამ ექვსი კვირის განმავლობაში ოსის ერი დარწმუნდა, რომ ბალშევიკებს არ ძალუძთ არც ერთი აღიქმის ასრულება. თეორიის ოლქის ამბებმა მათ ნათლად დაანახვა, რომ „სოციალისტურ“ რუსეთში უფრო მეტად არის აწეწული საქმეები, უფრო დიდი არეგ-დარეგაა, ვიდრე „კონტრ-რევოლიუციურ“ საქართველოში. გლეხები დარწმუნდნენ, რომ ყაზახთა მიწების აღთქმა უბრალო მოტყუებაა.

დუშეთის და სარჩერის ამბებმა ნათლად დაანახვეს ოსის გლეხებს, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა დადი ნდობით არის აღჭურვილი ქართველ ერის მიერ.

ეს სიმართლეა. მართალია ოსებს დაავიწყდათ ბრძნული რჩევა, რომ არ ვარგა ჭირში ლალტი, მაგრამ ოსების შეუნგნეველ ნაწილებს რაში დავიმდურთო რომ თვით ქართველ ბალშევიკებს უფრო მეტი დანაშაული მიუძღვიან, როგორც დუშეთის, ისე სარჩერის ამბებში. ქართველ ბალშევიკთა შეუვნებლობამ სწორედ ისინი ააყენა საქართველოს დემოკრატიულ მთავრობის წინააღმდეგ. ვისთვისაც ეს მთავრობა ზარანგაზეა, ვისთვისაც იგი ხმალს იქნევდა. მაგრამ კიდევ კარგი რომ შეუნგნებლად აჯანყებულთათვის გზა ურმის გადაბრუნების შემდეგ მაინც გამოჩნდა და თანდათან დგება წყალი ნგუბარაში.

* * *

საბრალო „აშხატავორ“-ი გვეგონა რომ ჭკუაზე მოვიდა, გვეგონა, რომ მისი სიტყვები „ძლიერი საქართველო ეს ბეჭი სომხეთისა“ მის გულის სიღრმიდან აყო ამოხეთქილი. მაგრამ შევმცდარვართ.

მოუსმინოთ, აი რას სწერს ის („აშხატავორ“ № 102):

„იმ დღიდან, როცა საქართველომ დაანგრია ამიერ-კავკასიის დემოკრატიის შეერთებული ფრონტი და თავისი თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა—საქართველოში მოსმული პარტიებმა და პოლიტიკურ მოღვაწეებმა ყურადღება მიაქციეს ნორჩ სახელმწიფოს ორგანიზაციას და გაძალიერებას“.

ამიერ-კავკასიის მთლიან ფრონტის დარღვევებზე ბევრს არას ვეტყვით „აშხატავორ“-ს. ცხადია ერთი რამ: ამიერ-კავკასიის ფრონტის დარღვევას ხელი შეუწყო იმ შეღლმა და უთანხმობამ, რომელიც არსებობდა თვით სეიმშიაც კი თათრების და სომხების დეპუტატთა შორის და იმ გარეშე ძალამ, რომლის წინაშეც დაიშალა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა. ეს ყველასთვის ნათელია, მაგრამ „აშხატავორს“-კიდევ მოსდგამს ძველი ჩვეულება და სცდილობს ხელები დამოუკიდებელ საქართველოზე დაიწმიდოს.

ვინ იცის რას არ ჩაბახავს „აშხატავორ“-ი. „დღეს, განაგრძობს აშხატავორ“-ი, (გულისხმობს სოციალ-დემოკრატიას) ახორციელებს ქართველ ნაციონალ-დემოკრატების სათუთ სურვილებს—საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობის საქმეს. მაგრამ ამ უდიდეს ეროვნულიან თავისი შედეგი მოუტანა ქართულ ცხოვრების ხელმძღვანელ პარტიას. უკვე ფრთები შეეკვეცა იმ აღფრთოვანებას, იმ რწმენას, რომელსაც იჩენდა ქართველი ხალხი სოციალ-დემოკრატების მიმართ. საყურადღებოა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ დღიდანვე მთელ ქვეყანაში დაიწყო გლეხების აჯანყება. აფხაზეთის, სამეგრელოს, სოხუმის, გორის, სარჩერის, დუშეთის და სხვა ალაგებში მომხდარი სასხლის ღერა ამტკიცებენ ჩვენს სიტყვებს“.

აი, ასე ზრუნავს „აშხატავორ“-ი საქართველოს დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად! ასე ყურის ფრდლოს იმ ბეჭს, რომელიც თავის სამშობლოს ბეჭედ მიაჩნია! რა საკვირველია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდანვე ჩვენს ქვეყანაში აჯანყება დაიწყო? ამისათვის ხომ ფართედ ჰქონდათ გაბმული საქართველოს მტრებს ქსელები. ამ ქსელების დაჭიმვაში ხომ თქვენც ღარიდით ოფლს...

ვენერალ მაზნიაშვილთან.

გენერალ მაზნიაშვილმა ჩვენს თანამშრომელს შემდეგი საგულისხმიერო ამბები გადმოსცა:

„ჯარის სულიერი განწყობილება კარგია. სისწორით და შეგნებით სრულდება უფროსების განკარგულება და ბრძანებანი. თანდათან მკვიდრდება დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული სახხედრო დისციპლინა და წესრიგი. ჩვენი რეგულიარული ჯარის მოძრაობის უმთავრესი მიზანი ანარქიასთან ბრძოლაა, ჩემი ჯარი შავი ზღვის სანაპიროებზე მოქმედებს თუაპსე-არმავირის ხაზით; სამურზაყანოს მხარეზე კი განსაკუთრებით სახალხო გვარდიის რაზმები მოქმედებენ.

სოხუმში მოწყობილია დეპო, სადაც იწრთვნებიან ჯარში ახლად გაწვეულები, რომლებიც ძალიან ხალისით მეცადინეობენ და მომზადების შემდეგ საჭიროებისამებრ სხვა და სხვა ადგილებისკენ იგზავნებიან.

როდესაც სოხუმი ბალშეიკებისაგან გაიწმინდა შედარებითი წესრიგი დამყარდა. გუდაუთიდან მოვიდა ცნობა, რომ იქ ბრძოლის წაგებით გაბრაზებულმა ბალშეიკებმა 11 კაკი მხეკუთად და წამებით მოჰკლეს. ადგილობრივ მცხოვრებთა თხოვნითა და დახმარებით ჩვენი ჯარები გუდაუთისკენ საშველად წავიდა, სადაც გუმასტანის ხიდამდის გავწმინდეთ გზა და რადგან ბალშეიკები არ ისვენებდენ, იძულებულნი გავხდით წინსვლა გაგვაგებინანა და ისევ მცხოვრებთა დახმარებით ერთი თვის განმავლობაში აღლერის იქით მზიმტამდი ჩავედით და იქ გავმაგრდით.

მაშინ ბალშეიკებმა სოჭის რაიონში დაიწყეს მოქმედება და მცხოვრებთა რჩევა. მეგრელებისა და ადგილობრივ რუს მცხოვრებთა თხოვნით მივეშველეთ სოჭას და ბალშეიკებს უკან დავახვევნეთ, მაგრამ რადგანაც მისალოდნელი იყო, რომ ბალშეიკები კვლავ არ მოისვენებდენ, სტრატეგიულის მოსაზრებით, გაწმენდილ ადგილებს რომ ხელმეორედ არ შემოსვლოდენ და იქამაბა არ აემტუტებინათ რაზმის ნაწილი დატოვეს სოჭაში და თუაპსემდინ გავრეკეთ მათი ბრბოები. თვით ქალაქში ჯარით არ შეგსულვარ და ქალაქ გარეთ დავბანაკდით. განსაკუთრებით რუს მცხოვრებთა დასაშვიდებლათ პროკლამაციები გამოუშვი, სადაც ნათქვამი იყო, რომ საქართველოს რესპუბლიკის ჯარი არაევითარ სხვა მიზნის არ ეშსახმება, გარდა მცხოვრებთა დარბევისაგან დაცვისა და წესრიგის აღდგენისა. ჩვენ ეიცავთ მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის ბუნებრივ საზღვრებს. ჩვენი ჯარების მიერ განვლილ მთელი ამ მხრის კუთხეებში მცხოვრებნი და საზოგადოებანი მაღლობით იხსენებენ ჩვენ ჯარს და დიდის აღტაცებით ეგებებიან და ყოველნაირად ხელს უწყობენ.

ადგილობრივ თვითმართველობებისა და ადმინისტრატიულ გამგებლობაში არ ჩავრეულვართ და ვამტკნეთ ყველას, რომ ჩვენ დავრჩებით მანამდე, სანამ არ იქნება აღდგენილი სრული შეგიდობისა ცხოვრება და დემოკრატიული წესწყობილება, რომელიც ბალშეიკურ ბრბოების შემოსევამდე იყო. თუთფსეთი გათავდა პირველი ხანა ჩვენი ჯარების მოქმედებისა. ამასობაში გლუხორის რაიონში ფსხუს წყალზე გამოჩნდენ ყაზახთა ნაწილები, 800 კაცამდე თითო რაზმში; წინდაწინ ჩვენთან დელეგატები გამოგზავნეს თხოვნით, რომ ნება დაგვეთრთო გაეელოთ ჩვენს ტერიტორიაზე თუთფსით მაიკოპისა და ლაბინის სტანიცებში, სადაც ბალშეიკებმა ხოცვა-ყლეტა და რბევა დაიწყეს, რომ მივეშველოთ და ოდეს ბალშეიკებს გადურჩათ, ის მაინც შეენარჩუნონ ჩვენს მხარესაო. შეეკითხე ჩვენს მთავრობას და პასუხის შემდეგ ნება დავრთე ყაზახებს, რომელნიც თითქმის მთელ დონიზიამდე შეგროვდა, ვაეელოთ ჩვენს მიწა-წყალზე. მათ დიეიზიაში ჰკავთ, როგორც ქეეითი, აგრეთვე ცხენსანი და საარტილერიო რაზმები. ამხანად ჩვენი და იმათი რაზმები ბელოორინსკასთან იმყოფეთანან, რომ მაიკოპსკენ გარშემოუარონ თავის სტანიცებს და გარეკონ ბალშეიკები. ჩვენ ჯერ ხანათ წინ არ ვიწევეთ, თუ შეეამჩნიეთ, რომ ჩვენს ბუნებრივ საზღვრებს საფრთხე მოუახლოვდა ბალშეიკების ბრბოთა შემოსევით, მაშინ მხოლოდ სტრატეგიულის და თავდაცვის მოსაზრებით წავიწევეთ წინ, რომ ხელახლად არ აამღვრიონ ახლად დამყარებული სიმშვიდე და გავმაგრდებით მანამდე, სანამ ბალშეიკური მოძრაობის ტალღა სრულიად არ მოშორდება ჩვენს მხარეს და მერე კი ჩვენ ბუნებრივ საზღვრებისკენ დავიწევთ და გავმაგრდებით, რომელსაც არავის და არაფრისთვის არ გადმოვალახვინებთო. ასე დაამთავრა გმირმა „პატარა“, როგორც მას ეძახიან ჯარში და ხალხში გენერალმა მაზნიაშვილმა თავის ჯარის მოქიედების ამბავი. ეუსურვებთ მხნეს და ენერგიულ მოქმედებას ჩვენი ახლად აღდგენილ ჯერ ისევ ნორჩ რესპუბლიკანურ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

საამდროო წერილები.

ამ მსოფლიო ომის შემდეგ, როგორ გადაკეთდება არამც თუ ევროპის, არამედ სხვა დანარჩენი ქვეყნების რუქა, ამ ეამად ძნელი სათქმელია, დიდი ცვლილებები არის რასაკვირველია, ყოველის მხრით მოსალოდნელი. დიდ თუ პატარა სახელმწიფოთა შორის ომამდეც განუწყვეტელი ქიშპობა, არა გულწრფელი დამოკიდებულება არსებობდა, ომის შემდეგ დამოკიდებულებამ კიდევ უფრო გამწვავებული ხასიათი მიიღო. მსოფლიო ომმა იმდენი გულღვარძლიანობა დასთესა ყველგან, რომ კაცობრიობა მას დიდხანს ვერ დაუწეეს თავს; გესლით, შურისძიებით მოხაშშული ატმოსფერი გარს შემორტყმია ჩვენ დედა-მიწას და ვინ იცის, რა შედეგს უმზადებს ის ტანჯვით დაღალულ კაცობრობას!

ადრე თუ გვიან უნდა გათავდეს ეს ომი, შეჩერდეს სისხლის ღვრა, მხოლოდ ეხლავე ემზადებიან მეორე ომისთვის. ეს ომი მშვიდობიანი ომის სახელით არის მონათლული, ის იწარმოებს ეკონომიურ ნიადაგზე ვაჭრობა-მრეწველობის სფეროში. ამას კი ბოლოს მაინც, თუ კი ძირიანათ არ შეიცვალა ცხოვრების მთელი სისტემა, თან მოჰყვება იმგვარივე სისხლის ღვრა, რომლის მოწამენი დღეს ჩვენა ვართ. ჩვენ არ შეეჩერდებით აქ ხალხთა სისხლის ღვრის განმეორების განკარტებაზე. ეს დიდი უბედურება, შეიძლება ახლო მომავალში მაინც არ მოეკლინოს კაცობრიობას. ჩვენ გვინდა მხოლოდ გავითვალისწინოთ იმ ომის ხასიათი, რომელსაც ეს სამზადისს პირველი-ხარისხოვანი სახელმწიფოები უკვე შეუდგნენ და რომელსაც „ევროპის პუსსა“-ში „მშვიდობიან“ ომს უწოდებენ.

გერმანიის ვაჭრობა-მრეწველობის ზღაპრულად ზრდამ დიდ საგონებელში ჩააგდო ინგლისი; უკანასკნელი მშვიდობიანი კონკურენციის შემწეობით ბევრი ეცადა როგორმე შეეჩერებია გერმანიის წინსვლა, მაგრამ ვერაფერს გახდა და ჩვენ ვიცით, რომ გერმანიამ ეაჭრობა-მრეწველობის ზოგიერთ დარგში კიდევეც გაასწორო ინგლისს.

ამ ნიადაგზე მათმა ბრძოლამ იმ ზომამდე მწვავე ხასიათი მიიღო, რომ შეესაძლებელი შეიქნა ინგლის-რუსეთის დაახლოვება და შეერთება. ამ ორ სახელმწიფოს სხვა და სხვა ინტერესები ჰქონდათ, ზურიათ ეს ინტერესები ერთი-ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდენ. მაგრამ

გერმანიის გაძლიერების შიშმა ისინი ერთმანეთს დაუკავშირა და ორივენი საერთო ძალით შეებრძოლენ მას.

როგორც უნდა გათავდეს ომი, ინგლისსა და გერმანიას შორის ეკონომიური ბრძოლა მაინც გაგრძელდება. აქ არაფერს ვიტყვით ევროპის სხვა სახელმწიფოებზე, რადგანაც მათ შედარებით ინგლის-გერმანიასთან მცირე მნიშვნელობა ექნებათ.

ამავე დროს ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკაც ეხლავე უდგება დიდ საშზადისს, ის სცდილობს გაერთიანოს მთელ ამერიკაში არსებული სახელმწიფოები ეკონომიურ ნიადაგზე, რათა ამერიკამ ამნაირად ღირსეული პასუხი გასცეს ინგლისს, გერმანიას და საერთოდ მთელ ევროპასაც.

გერმანელ პრესსაში სულ ხშირად შეხვდებით ეხლა სიტყვას „პანამერიკანიზმ“ს, რომელიც უმთავრესად ამ რიგის მოლიანობას გულისხმობს. იქ ცვლ[illegible]ბერეთვი ჩვენ ყურადღებას ენერგიული და თანაც დაკვირვებული პოლიტიკა ამომავალი მზის ქვეყნის-იაპონისა. ის ბეჯითად სწავლობს ყველაფერს, რაც კი რამ კარგია. მოსი ფიქრით, ევროპას და ამერიკაში, ადევნებს თვალ-ყურს სხვა ხალხთა შეცდომებს და სარგებლობს რა ამით, რომ ევროპასა და ამერიკას დღეს ომისათვის არ სკალიან მაგრად იდგამს ფეხს შორეულ-აღმოსავლეთში, იგდებს ხელში უზარმაზარ ადგილებს, სადაც ყოველნაირი აუარებელი დასამუშავებელი მასალა მოიპოვება.

იაპონია ამყარებს თავის ჰეგემონიას შორეულ-აღმოსავლეთში და აგრეთვე ჩინეთში. ყველა ეს კი მისცემს მას საშუალებას გამგრძდეს იმ ზომამდე, რომ ყვითელი რასის სახელით იბრძოლოს თუ გინდ ორ ფრონტზე, სახელდობრ ამერიკისა და ევროპის ფრონტზე. კი ხანია, რაც იაპონიაში ბევრი გამორჩენილი მოღვაწენი აყენებენ ხალხს წინაშე კიდევ უფრო ფართო ლოზუნგებს: აზია აზიელებისათვის.

ეს, ჩემი ფიქრით, ის სახელმწიფოები, რომელთა შორის იწყობოს მკაცრი ეკონომიური ბრძოლა მომავალში.

ამის გათავებისთანავე გაჩაღდება, რასაკვირველია, სახელმწიფოთა შორის ვაჭრობა. იმ სახელმწიფოს, რომელსაც მეტი და კარგი ღირსების ხაქონელი ექნება დამზადებული სხვა ქვეყნებში გასატანად, ამ ბრძოლის დროს დიდი უპირატესობაც ექნება, მაგრამ ეს მარტო არ კმარა. საჭონლის გადასატანად სატრანსპორტო საშუალებანიც არიან საჭირონი. ამნაირად ვისაც მეტი ტონნაჟი ექნება, ის შეესძლებს ბრძოლის უკეთესად წარმოებას. ამ გარემოებით უნდა აიხსნას ის, რომ დიდი სიჩქარით ასობით აშენებენ მაგალითად ამერიკასა და გერმანაში სავაჭრო ხომალდებს. სამხედრო ცეზურის გამო დანამდვილებით არაფერი ვიცით თუ რა ხდება სხვა და სხვა სახელმწიფოებში, მხოლოდ ამ მიმართულებით რომ უდიდესი ენერგია იხარჯება, ეჭვს გარეშეა.

საკითხია, ჩვენს პატარა ერს რას მოუტანს ეს მომავალი „მშვიდობიანი ომი“?

დ.

დეპეშები.

(დეპეშათა სააგენტო)

მიღებულია ბერლინის რადიო სადგურით.

ბერლინი, 12 აგვისტოს. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. იზერის და აჩკრის შუა მტრის მრავალ რიცხოვანი შეტევები უსარგებლოდ დამთავრდა. ლისის ჩრდილოეთით ჩვენ მოვიგერეთ ინგლისელთა ძლიერი შემოტეევა. სომას ჩრდილოეთით მტერმა დიღა ადრიან დაიწყო შეტევები.

წინ წაიწია სოფ. არპესენის აღმოსავლეთით, მაგრამ ჩვენ მალე უკუ ვაქციეთ. ლიკონსის და აკრის შუა ხშირი ბრძოლაა, შოლნეს სამხრეთ დასავლეთით ჩვენ ვაჯობეთ მტერს და ავიიღეთ ხაღი. მტრის ძლიერი შეტევები საღამომდი გრძელდებოდა, მაგრამ ამაოდ. განსაკუთრებით დაზარალდნენ ფრანგები.

გუშინ ჩვენ ჩამოვაგდეთ მტრის 17 ჰაეროპლანი და 4 ბალონი.

ლეიტენანტებმა უდიტმა, რიხტგოფენმა, ვილდლენსმა ჰაერში ბრძოლის დროს გაიმარჯვეს. ივლისში გერმანიის ფრონტზე ჩამოვაგდეთ 518 მტრის ჰაეროპლანი, აქედან 239 ჩამოვარდა ჩვენს ტერიტორიაზე, დანარჩენები მტრის პოზიციებზე. ამავე დროს ჩვენ დავკარგეთ 129 ჰაეროპლანი და 63 ბალონი.

ვენა, 12 აგვისტო. სამხედრო ცნობა. იტალიის ფრონტზე მტერი ფიქობდა დიდი შეტევების დაწყებას, მაგრამ იმედი გაუცრუდა.

ზოგ ადგილას საარტილერიო ბრძოლაა და საჰერო მოქმედება. ალბანეთში ღირს შესანიშნავი არაფერია.

სტამბული, 12 აგვისტო. სამხედრო ცნობა. პალესტინის ფრონტი.

გასულ ღამეს მტრის არტილერიამ გააძლიერა ენერგიული მოქმედება. ჩვენი ფრონტის სხვა და სხვა ნაწილები მტრის ცეცხლში იყო გახვეული. ზოგ ადგილს ჩვენ მოვიგერეთ მტრის მზვერავი რაზმები, მთელი დღე სიმშვიდე იყო. ერთმა ჩვენმა ჰაეროპლანმა მეამბოხეთა ბანაკზე 150 ყუმბარა ჩამოაგდო. მდინარს სამხრეთით საარტილერიო ბრძოლა გრძელდებოდა 8 და 9 აგვისტოს. ჩვენი ცეცხლით მტერი მალე გავფანტეთ.

აღმოსავლეთის ფრონტი. მიანდამიდან ჩვენ წავიწიეთ სამხრეთით და სასტიკი ბრძოლის შემდეგ, სანაკალიდან გამოვიხეთ ბრძოლები. მტერი დიდათ დაზარალდა. დახოცილთა შორის ორი ინგლისელი ოფიცერი.

აფრიკის ფრონტი. ჩვენი ჯარები ჯერ-ჯერობით მტერზე იმარჯვებენ. ხომსთან მტერი დამარცხდა და ძლიერ დაზარალდა. დანარჩენ ფრონტებზე მდგომარეობა უცვლელია.

ბერლინი, 12 აგვისტო. საღამოს სამხედრო ცნობა. ანკრის და ავრის შუა მთელი დღე სიმშვიდე იყო. ავრის და ფუზის შუა მტრის შეტევები უსარგებლოდ დამთავრდა.

ახალი ამბები.

○ სამხედრო მინისტრმა გენერალ სუმბათაშვილისგან მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა: ლეჩხუმის მაზრაში ბრძოლა დამარცხდენენ და უკან იხევენ. დატყვევებულია ოფიცერი დარაბელიძე და ერთი პრაპორშიკი.

○ მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობას აღმასრულებელი ნ. ვ. რამიშვილი ინახულეს მიტროპოლიტებმა ლეონიდემ, ანტონიმ და ამბროსიმ, რომლებმაც შუამდგომლობა აღძრეს მინინტრის წინაშე, რათა შევიდნენ სასულიერო წოდების მდგომარეობაში დს დაუყონებლივ აღმოუჩინოს მას სახელმწიფოა მრივ შეძლებას და ჯვარად დაბმარება.

○ იუსტიციის სამინისტრომ წარუდგინა მთავრობას ხარჯთ აღრიცხვა მოსამსახურეთა შესანახად.

○ შინაგან საქმეთა სამინისტრომ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე 500 ათასი მანეთის დახმარების აღმოსაჩენად ფოსტა ტელეგრაფის მოხელეთათვის სალკვიდაციო ფულად.

○ გერმანიის მისიის ცნობით გერმანიის საელჩო რუსეთში მოსკოვიდან გადავიდა ფსკოვში.

○ უკრაინის რადას ფოთიდან ატყობინებენ რომ ფოთშიაამ ქამად მოსული გემი „დიმიტრი“ უკრაინის ბაირაღით. ამ გემს 200 მგზავრი შეუძლიან წაიყვანოს ფეოდოსიიმდე. ხელით დასაჭერი ბარგი და ბაგშეები გემზე უფასოდ მიიღებიან, მოზრდილთ კი თითო სულზე 200 მანეთი გადახდებათ. გემი შეიკვლის სოხუმში და იქ დატვირთულ იქნება თამბაქოთი. ამ ქამად ფოთში იმყოფებიან გერმანიის გემი „კორკოვადი“ და ბოლგარ-რუმინელთა ხომალდები. გერმანიის გემს მიჰყავს მგზავრები გერმანიის მხსენის ნებართვით, ხოლო ბოლგარელ-რუმინელთა ხომალდები იტვირთვენ შავი ქვით. ფოთიდან უკრაინაში სოხუმ-ტუაფსე-კერჩით შეიძლება წვრილ ხომალდებით მიმოსვლა, მაგრამ ოდგან ხოლერა მძვინვარებს მიმოსვლა შეჩერებულია დროებით. ამიტომ უკრაინის რადა აცხადებს, რომ წასვლა უკრაინაში აღკრძალულია.

○ ქართველ საქვეღმოქმედო საზოგადოების გამგეობა ლტოლვილთა დასახმარებლად აწყობს ფუფრნეებს, რომ ხელსაყრელ ფასებში მიაწოდოს მათ პური. ამ მიზნით აღიძრა შუამდგომლობა სამინისტროში დაუთმოს მას 200 ფუთი ფქვილი და 100 ფ. მარილი და სათბობი მასალა, შეშა ან მაზუთი. პურის შეაძენენ გაგზავნა აგრეთვე საგანგებო პირი ეახეთში, რომელსაც უკვე შეუძენია 92 ფ. ხორბალი და 36 ფ. ქერი.

○ ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების სკოლებში სწავლა 20 სეპტემბრიდან დაიწყება.

○ ბორიგი კრება ქ. შ. წ. კ. საზოგადოების გამგეობისა დანიშნულია 19 აგვისტოს, სამშაბათს.

○ ხარფუხის სახელოსნო სკოლასთან ქართ. საქველმ. საზ. გამგეობამ გახსნა კურსები ლტოლვილთა შვილებისთვის. ლტოლვილთ ასწავლიან წერა-კითხვას, ხალიჩების და ფართლეულობის ქსოვას. კურსებზე სულ 50 მოწაფეა.

○ ქართ. საქვ. საზოგადოებას დღემდის 2 ათას სულზე მეტ ლტოლვილისთვის აღმოუჩენია ფულით და ბინით დახმარება.

○ 12 აგვისტოს შესდგა ბორიგი სხდომა ქალაქის საბჭოზი. ხოლერის საწინააღმდეგო ზომებზე მოხსენ-ნება გააკეთა ქალაქის გამგეობის ექიმი ალიოშენმა, რომელსაც განაცხადა, რომ ქალაქში მფრინავი რაზმი 200 კაცისაგან არის შემდგარი და საგანგებო რაზმი 70 კაცისაგან სისუფთავის მისალებად. შემდეგ მოსმენილ იქმნა მოხსენება იმავე გამგეობის წევრისა ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთათვის ჯამაგრების მომატების შესახებ. მოიხსენა, რომ ქალაქს უსახსრობის გამო შეძლება არ შესწევს ამ ხარჯების თავზე მიღების. დახმარებას იკისრებს იმ შემთხვევაში თუ თავრობა გამოიღებს ნახევარ ხარჯს, რომელსაც ქალაქი ეწევა მილიციის და წყლიერ რაზმის შესახებ. საბჭომ მიიღო გამგეობის მოხსენება ამ საგანზე იმ სახით, რომ თითო სულზე 1 მ. 60 კ. დაენიშნოს თითო მოსამსახურეს. დასასრულ მილიციის უანონო მოქმედებაზე მოხსენება გააკეთა ხმ. ხანდამოვმა. განმარტებანი მისცა ქალაქის მოურავმა ნ. ზ. ელიავამ რითაც საბჭო დაკმაყოფილდა.

○ პურის შემსყიდველი კონტრაგენტები უკვე გამეგზავნენ უკრაინაში. გერმანიის მისიისა და უკრაინის რადის დახმარებით მათ უნდა შეისყიდონ ხორბალი და ფქვილი. აქედან მათ მიაქვთ ნახევარ მილიონათ ღირებული საქონელი თამბაქო, ღვინო და სხვა.

○ უკანასკნელ ორ დღეს ქალაქის საავადმყოფოში ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებიდან მოიყვანეს 8 ხოლერიანი და 8 ხოლერის ნიშნებით. სახოლერო განყოფილებაში გადაყვანილია 1, მორჩა და გამოეწერა 11. გარდაიცვალა 10 ხოლერიანი და 2 ხოლერის ნიშნებით. 12 აგვისტოსთვის სულ იყო 99 ხოლერიანი და 14 ხოლერის ნიშნებით.

○ ქალაქის მილიციის უფროსის განკარგულებით დაიხუნა ბაღი „პარიზინი“, (მიხეილ. ქ. № 107) სადაც ხშირად ადგილი ჰქონდა ლოთობას და ჩხუბს.

○ 13 აგვისტოს ვაგზლის ქ. № 7 გ. ზუბაბოვის ბინაზე შეეიდნენ უცნობი ბორტომქმედნი და 15 ათას მან. ღირებული ნივთიერება წაიღეს.

○ გარნიზონის უფროსმა დაატუსაღა წითელ ჯვრის მოხელე სმირნოვი გერმანიის მისიის წინააღმდეგ გალაშქრებისათვის.

ტყის საკითხი.

II

ხე-ტყეს ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს ინდუსტრიაში და ის ეკონომიურ განვითარების ერთ უძლიერეს ფაქტორს წარმოადგენს. ტყე იძლევა მეტად საჭირო და ძვირფას მასალას, რომელსაც არც ერთ დარგს არ შეუძლია გვერდი აუქციოს.

ხისაგან შენძლება კიდევ მიღება და ამნაირად ტყის პროდუქტებს წარმოადგენენ კიდევ შემდეგნი მნიშვნელოვანი საგნები: ქაღალდი, ხის სპირტი, ძმრის სიმჟავე, აცეტონი, ხის ფხვნილი, „ბროლი,“ სატურ-შაქარი, ქლოროფორმი, იოდო-ფორმი, ბელეკუროს ზეთი (скидар.), მნთებარე სიფხე, წებოს მასალები, კრეოზოტი, გვაიაკოლი, კრეოზოტის ზეთი, სახურავი მუყაო(кровельный-толь),კანფოლი. ტკაუნას სიმჟავე (щавелевая кислота), ხელოვნური აბრეშუმი, კუპრი, მოძმენილი ექსტრაქტები (дубильные экстракты), ეთერის ზეთები, ნეკერჩხლის შაქარი და სხვა.

დაწერილებით ამათი მნიშვნელობის განხილვა შორს წაგვიყვანს; მხოლოდ სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი მოკლე აღნუსხვაც კი ყველასათვის აშკარად გახდის ის უთუო ეკონომარტებას, რომ ტყის მნიშვნელობა ერთობ მრავალ-მხრივია და განუსაზღვრელი.

სამწუხაროდ საზოგადოებას ვერ აქვს რიგიანად შეგნებული მნიშვნელობა, რითაც იიხსენება მოუფიქრებელი და უდიერი მისდამი მოპყრობა. მისი უსისტემოდ მოღეკვა, ბარბაროსული განადგურება, ავიზაკური გაჩეხვა, მთაბარის მოტიტვლება... ასეთი მოპყრობა ყოველად შეუწყნარებელია და ამასთანავე სასტიკად დასაგმობი.

ჩვენი ხალხი ხვალინდელ დღისთვის არ ფიქრობს და მტაცებლის სიხარბით სჩეხავს, ანადგურებს ჩვენს სიამაყეს, საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეს და მის ტურფა შშვენებას... გაჰქონნ მცხეთის ახლო განუვლელნი ტყენნი, მოილეკა თბილისის გარშემო ვახტანგ გორგ-ასლანის დროინდელი დიდრონი ტყეები, მოტიტველდა უკანასკნელ ხანებში ქარელიდან ხაშურამდე გაყოლებული ძვირფასი მუხნარი... შეუბრალელნად სჩეხენ ტყეებს ჯავახეთში, საციციანოში, სამაბალოში; სჩეხენ და ანადგურებენ, გურიაში, სამეგრელოში, ქართლში,-ყველგან და ყველანი, ვისაც და სადამდისაც კი ხელი მიუწვდება...

ჩვენს შეუგებლობას, სიბრმავეს და სიყრუეს ასე აშკარად, ხილულად, საგრძნობლად და ამასთანავე მძლავრად ფრთები, მგონი, არსად არ გაუშლია.

მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ისიც, რომ ერთ ადგილს ტყის მოსპობა-განადგურებას თურმე სხვა ქვეყნებზედაც, სხვა ადგილებზედაც დიდი გავლენა აქვს. გამოჩენილი მეცნიერი ლესპინ ამტკიცებს, რომ ევროპაში ჰავა გამოიცვალა, საშინელი გვალვა-პაპანაქება გახშირდა, გახშირდა ქარიშხალი, კოკისპირული წვიმა ნაიღვრებიო, და ამის მიზეზად წარმოიღგენენ რას ასახელებს? წინად ამერიკის უზარმაზარი ტყეები იმაგრებდნენ ციკლონებს, იფარავდნენ ევროპას მექსიკის ზღვის ყურედან წამოსული საშინელ ქარტეხილისაგან; ეხლა კი, ამერიკაში დიდძალ ტყეების გაჩეხვის შემდეგ ევროპა განსაცდელში ჩავარდაო. და აი კიდევ ტყის საკითხი მსოფლიო საკითხად გადაიქცა...

ამ ხუთიოდე წლის წინ პარიზში ტყის მოკლის და მფარველობის მეორე საერთაშორისო კონგრესი შესდგა და იქ ყველანი გარკვეულად იმ აზრს დადგნენ, რომ ტყის საკითხის რაციონალურად დაწყვეტას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ ყოველმა სახელმწიფომ უნდა იკისროს ტყის მფარველობა, მოშენება, გამოყენება, რისთვისაც უნდა გადიდოს საჭირო ფული ტყეების და იმ ადგილების შესაძენად, სადაც უწინ ტყე იყო და ადამიანის უდიერობამ ამოაგდო, გაჩეხაო.

საფრანგეთის რესპუბლიკამ უკვე დააკანონა ტყის საქმისათვის ყოველწლივ მილიონი ფრანკის გადადება. გარდა ამისა, იქ სახელმწიფო შემნახველი კასები დავალებულნი არიან თავის საკუთარ თანხიდან ერთი მეათედი ყოველწლივ გადასდონ ტყის შესაძენად.

არგენტინის რესპუბლიკაში ტყის დაცვის საქმეს კიდევ მეტ ყურადღებას აქცევენ. იქ ტყის დასაცავად სასტიკი კანონებია გამოცემული; სადაც უწინ ტყეები იყო, იქ ყველგან ხელ-ახლა მოაშენეს; შრავალ ალაგას უზარმაზარი სახაზინო პარკები გამართეს, სადაც საგანგებოდ მოაშენეს არა მარტო ადგილობრივი,არამედ სხვა ქვეყნებიდან გადმონერგილი საუკეთესო ჯიშის ხეები, მრეწველობაში საჭირონი და სასარგებლონი; რესპუბლიკის მთელი ტყეები მთავრობის მზრუნველობის საგანს შეადგენს და სხვა.

ტყის საკითხს სხვა დაწინაურებულ ქვეყნებშიაც დიდის ყურადღებით ეპყრობიან.

იქ ტყე რასაკვირველია, ხატვითი აუუდებული არა ჰყავთ, ზედ არ ლოკულობენ,—ტყეთ, რასაკვირველია, სარგებლობენ, კიდევ მეტი ტყისაგან ნეტ სარგებლის ნახულობენ ვიდრე ჩვენ. ტყეს ჩვენზე უფრო ფართოდ და რიგიანად იყენებენ, მხოლოდ ჩვენსავით სადღეისო, ბარბაროსულ პოლიტიკას არ აწარმოებენ, არამედ ეწევიან სწორ, მეცნიერულ საფუძველზე დაყდნობილ სატყეო მეურნეობას.

ჩვენს ნორჩ სახელმწიფოში, სადაც ხალხს ტყის ნამდვილი მნიშვნელობა არ ესმის, არ იცის მისი მოვლა და მომბარება, და სადაც ბევრი დიდ-მადიანნ ელემენტები დაფარფაშობენ, რომელნიც ტყის ხარჯზე გასუქებას ლამობენ, აუცილებლად საჭიროა შემუშავდეს გონივრული მეზაზეწონილი სატყეო-კანონმდებლობა. ტყის მოვლა, მოშენება, მფარველობა სახელმწიფოს საზოგადეო საგანს უნდა შეადგენდეს; ტყეთ სარგებლობა, მისი მოხმარება, სატყეო მეურნეობა უნდა სწარმოებდეს საღი სისტემით, გარკვეული გეგმით.

მაგრამ ამაზე სხვიმის.

ინგ. ვ. კაკაბაძე.

განცხადებები

დავკარგე აეიჯეულობა ყუთით და პეტროგრადის უნივერსიტეტის ლეკციის წიგნი, მეტრიკული მოწმობა სტუდენტ გიორგი კოკოჩაშვილის სახელზე № 351. მპოგნელს ვთხოვ დამიბრუნოს სასყიდელით ეს საბუთები. თბილისი, ანასტასიის ქუჩა № 13. წითელი ჯვრის მართველობა.

კავკასიის უწმინდესი და უმართებელესი სინოდის თბილისის კანტორა აცხადებს, რომ იქ შევდა თხოვნა ანნა მიხეილის ასულის ველიკანოვისა (ქ. თბილისში მე-8 უბანში ბარნეულის სახლში მცხოვრები). მისი ქმრის იაკობ ივანეს ძე ველიკანოვის გაშორებაზე, ისინი ჯვარ დაწერილი არიან სოფ. ნოფო-მოკროვკაში, ბორჩალოს მაზრაა, 21 იანვარს 1913 წ. მოხოვნელის განცხადებით იაკობ ველიკანოვი აღარ სჩანს 1913 წ. მაისიდან. ყველა, ვინც იცის სად იმყოფება ველიკანოვი, ვალდებულია განაცხადოს სინოდალურ კონტორაში ქ. თბილისში, ერთი თვის განმავლობაში ამ განცხადების დამებეჭდვიდან.

დაიკარგა თბილისის პირველი კერძო ლომბარდის ბილეთი № 72656 12000 მანეთისა.

ვლადიმერ თედორის ძე კლემენტოვი აცხადებს, რომ მან დაკარგა ხელწერილი № 50514, მიღებული სახელმწიფო ბანკის თბილისის კონტორიდან 17 აგვისტოს 1915 წელს, რომ მას ენახება მისი სარგებლიანი ქაღალდი პირველი მოგებიანი სესხისა № 00 649 13.

(2—1)

კავკასიის სინოდალური კანტორა იწვევს თავის საკრებულოში, ქ. თბილისში, ქსენია ნიკოლოს სრსასლივეცეის ასულს ვოინოეშას, რათა გამოუცხადოს მას სინოდალური კანტორის გადაწყვეტილება 18 ივლისს 1918 წ. გამოტანილი № 480 მისი ქმართან, ალექსანდრე ივანეს ძე ვოინოეშთან დაშორების შესახებ. თუ ამ განცხადების დამებეჭდვიდან ორი კვირის ვადაში ვოინოეში არ გამოცხადდა, ზემო აღნიშნული გადაწყვეტილება სისრულეში იქნება მოყვანილი.

სტამბა საქართველოს მთავრობისა. რედაქტორი პ. დ. საყვარელიძე.